მიზანდარების ოჯახის როლი
საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში

მოამზადა რუსუდან თაყაიშვილმა

რესურსები წარმოადგენს ისტორიკოსისა და მუსიკოსის, ლევან მიზანდარის პრეზენტაციას[1] მიზანდარების ოჯახის შესახებ, მის ინტერვიუს, სადაც გვიამბობს კვლევის შესახებ, ოჯახის წევრების მიერ შექმნილი ნაწარმოებების ვიდეოჩანაწერებს.

- ვიდეო „მიზანდარების საგვარეულოს ღვაწლი ქართული პროფესიული მუსიკის ისტორიაში“
- ლევან მიზანდარი - ,,Elegie Grotesque" (youtube.com)
- თორნიკე მიზანდარის პირველი ნაწარმოები

აქტივობა N 1

მოსწავლეები ეცნობიან მიზანდარების მუსიკალური ოჯახის მოღვაწეობას, განიხილავენ მის მნიშვნელობას საქართველოს მუსიკალური კულტურისათვის.[2]

თითოეული მოსწავლე მოსმენილი ინფორმაციიდან პატარა ფურცელზე ჩაინიშნავს მისთვის ყველაზე შთამბეჭდავ და საინტერესო მოვლენას, ფაქტს ან მოსმენილ ნაწარმოებს. ბარათების მიხედვით სავარაუდოდ, რამდენიმე საკითხი განმეორდება. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, მოკლედ დაახასიათონ მათი რჩეული საკითხი და აღნიშნონ, რამ გამოიწვია მათი ინტერესი.

მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს კითხვას, ხომ არ ახსენდებათ ოჯახები, სადაც წევრებს ერთი პროფესია, საქმიანობის ერთი სფერო აქვთ? ეს შეიძლება იყოს მშობელი და შვილი. მაგრამ როცა პროფესია სამი თაობის მანძილზე უცვლელია, ამას დინასტიას უწოდებენ.

აქტივობა N 2

მასწავლებელს სთხოვს მოსწავლეებს, შექმნან და წარმოადგინონ სამი ან მეტი თაობის საქმიანობის/პროფესიათა ამსახველი ხე. სასურველია, ვიზუალურად გააფორმონ ამა თუ იმ პროფესიის შესაბამისად.

დამატებითი ინფორმაცია:
“ვინ იყო ქართველი ბრმა დირიჟორი და რა გზაზე დააყენა ვალერიან მიზანდარმა ევგენი მიქელაძე” თბილისელები (tbiliselebi.ge)

---

[1] ავტორი სიამოვნებით დაგვთანხმდა მის მიერ ინტერნეტში განთავსებული მასალის საგანმანათლებლო მიზნებით გამოყენებაზე

[2] ინფორმაციის გაცნობა, შესაძლებელია, ორ გაკვეთილზე გადანაწილდეს.